**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# კრიხი

კრიხი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. ზემო კრიხის, შუა კრიხისა და ქვემო კრიხის გავრცელებული სახელწოდება.

კ. წერილობით წყაროებში პირველად XI ს-იდან გვხვდება. კ-ის მთავარანგელოზის ეკლესიის წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღვთისათა ესე ჴელი დავწერეთ ჩვენ კრიხმან სოფელმან“. ეს ეკლესია ზემო კ-ში დგას. ი. გიულდენშტედტს დასახელებული აქვს ზემო კ. და ქვემო კ. ვახუშტი ბაგრატიონის შესაბამის რუკებზე კ-ში მოცემულია აზნაურის ციხე-დარბაზი, ეს უნდა იყოს კვიტაშვილთა ერთ-ერთი ციხე-დარბაზი, რ-იც 1733 წინა ხანებში დარისპან კვიტაშვილს შეუწირავს ბიჭვინთის საკათოლიკოსო კათედრისათვის.

*ლიტ.*: ბ ე რ ა ძ ე  თ., რაჭა, თბ., 1983; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1962; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

***თ. ბერაძე***